



- 2011 წელს IOM დაარსებიდან 60 წლისთავს აღნიშნავს -  
„მიგრაცია ყველას სასარგებლოდ“



## დასაქმების ხელშეწყობის ქსელი

უმუშევრობა ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა საქართველოში. დასაქმების პერსპექტივების გაუმჯობესების მიზნით, განსაკუთრებით იძულებით გადაადგილებული პირებისა და მოსახლეობის სხვა დაუცველი ჯგუფებისთვის, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ USAID-ის ფინანსური დახმარებით შექმნა დასაქმების ხელშეწყობის ქსელი საქართველოში. გაფართოვდა თბილისსა და ბათუმში არსებული კონსულტაციის და დასაქმების ცენტრები და შეიქმნა ახალი ცენტრები ქუთაისში, ფოთში, ახალციხეში, გორსა და თელავში.

დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა შემდეგ კომპონენტებს მოიცავს:

- დასაქმებაზე კონსულტაცია და გადამისამართება პოტენციურ დამსაქმებლებთან; დამსაქმებლებთან ურთიერთობა
- კვალიფიკაციის ამაღლება/უნარ-ჩვევათა განვითარება
- მცირე ბიზნესის მიკროდაფინანსება



კონსულტაციის და რეგისტრაციის პროცესი დასაქმების და კონსულტაციის გორის ცენტრში

კონსულტაციის და დასაქმების ცენტრებში დარეგისტრირებულ ბენეფიციარებს უფასოდ უტარდებათ როგორც სამუშაოს მოძიების და თვითპრეზენტაციის უნარ-ჩვევათა ტრენინგი, ასევე სახელობო და გადამზადების კურსები, რაც ხელს უწყობს ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. ამ კუთხით, IOM მჭიდროდ თანამშრომლობს რეგიონული განვითარების სამინისტროსთან, განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან და დამსაქმებლებთან. დასაქმების ცენტრის ვებგვერდზე განთავსებულია სამუშაო ვაკანსიები, ფუნქციონირებს ონლაინ მომსახურება და აღწერილია დასაქმების მოძიების პროცესში დახმარების მისაღებად საჭირო პროცედურები.



მომზადების (გადამზადების) კურსები კონსულტაციის და დასაქმების ცენტრის ბენეფიციართათვის



კონსულტაციის და დასაქმების ცენტრის ბენეფიციარები ახალქალაქში საცურაო აუზს აშენებენ

## ბიზნეს ბარემოს კვლევა სამცხე-ჯავახეთში

დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით IOM-მა ჩაატარა შრომის ბაზრის რამდენიმე კვლევა მუშახელზე მოთხოვნის შესასწავლად და მოთხოვნი პროფესიების გამოსავლენად. შრომის ბაზრის კვლევებმა რამდენიმე გეოგრაფიული არეალი და ეკონომიკის სხვადასხვა დარგი მოიცვა, როგორცაა მშენებლობა, ტურიზმი, ჯანდაცვა, ტრანსპორტი, კაფემირგაბმულობა, განათლება და საბანკო სექტორი. IOM-მა ასევე ჩაატარა კვლევა თბილისში და შეისწავლა ტრანსპორტის, კაფემირგაბმულობის, ჯანდაცვის, საფინანსო-სამუშაო და სადაზღვევო სფეროები. ასევე, ჩატარდა კვლევა აჭარის რეგიონული ბაზრის შესასწავლად.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)



**(დასაწყისი პირველ გვერდზე)**

2010 წლის ნოემბერში IOM-ის საქართველოს წარმომადგენლობამ გამოაქვეყნა დეტალური ანგარიში კვლევის შედეგების შესახებ, რომელიც ჩატარდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მსხვილ და მცირე სანარმოებში სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შესასწავლად. კვლევამ მოიცვა 6 ადმინისტრაციული ერთეული — ადიგენი, ახალქალაქი, ახალციხე, ასპინძა, ბორჯომი და ნინოწმინდა.

აღნიშნული კვლევა განხორციელდა 2010 წელს ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით. მასში აღწერილია სამცხე-ჯავახეთში არსებული დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და განალიზებულია სამუშაო ძალის მიწოდება და მისი შესაბამისობა სამუშაო ძალაზე მოთხოვნის სტრუქტურასთან.

კვლევის შედეგები უჩვენებს, რომ სამცხე-ჯავახეთი საქართველოს ერთ-ერთი ნაკლებად განვითარებული

რეგიონია, რომელიც ქვეყნის მთლიანი ეროვნული პროდუქტის მხოლოდ 3%-ს ქმნის. 2003-2008 წლებში რეგიონში გარკვეული დადებითი ძვრები აღინიშნებოდა ეკონომიკური განვითარების კუთხით, მაგრამ 2008 წლის საომარმა კონფლიქტმა და, გარკვეულწილად, მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა უარყოფითად იმოქმედა რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე.

ქვეყნისა და რეგიონისთვის სასოფლო-სამეურნეო სექტორის მნიშვნელობის მიუხედავად, აღნიშნული დარგი მწარმოებლობის და მომგებიანობის დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება. ფაქტობრივად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უმეტესი ნაწილი ძირითადად შიდა საოჯახო მოხმარებისთვის იწარმოება.


ბიზნეს სექტორი სუსტადაა განვითარებული; ცოტაა დასაქმებული მუშახელი. რეგიონულ ჭრილში დასაქმებულთა საერთო ოდენობიდან (დაქირავებული და თვითდასაქმებული) მხოლოდ 24%-ია დაქირავებული, ხოლო 76% - თვითდასაქმებული. რეგიონის ეკონომიკური განვითარების დაბალი მაჩვენებლები უარყოფითად აისახება შემოსავლებსა და ცხოვრების დონეზე.

ანგარიშის თანახმად, ბიზნესის განვითარების და მომგებიანობის ზრდის საუკეთესო ხელშემწყობი ფაქტორები ადამიანური რესურსების ხარისხის გაუმჯობესება და პროფესიული სწავლების სისტემის დამსაქმებელთა მოთხოვნის შესაბამისად მორგებაა.

## ნარმატების მავალითაბი

### ხის დამუშავების და მშენებლობის კურსები

შპს „პაკო“ კონსულტაციის და დასაქმების ახალციხის ცენტრის 12 ბენეფიციარს უტარებს ხის დამუშავებისა და სახლის მშენებლობის კურსს.



სპეციალური სასწავლო კურსი მოიცავს ხის მასალის დახერხვას, დაჭრას და დამუშავებას. მომდევნო ეტაპი სახლის მშენებლობის შესწავლაა, რაც მოიცავს საცდელ მშენებლობას, სახლის სამშენებლო მასალების მიწოდებას, ლაქის წასმას, გაშრობას და მეპატრონისთვის მზა პროდუქტის ჩაბარებას.

კურსის ხანგრძლივობა თვენახევარია, რის შედეგადაც ბენეფიციარებს შეეძლება დამოუკიდებლად და ხარისხიანად შეასრულონ ხის დამუშავების და სახლის სამშენებლო სამუშაოები.

### ნინოწმინდის სამკერვალო ფაბრიკა

ბრამ ბნი საქართველოში არსებულ იმ მცირერიცხოვან სამკერვალოთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც საქმიანობას თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესაბამისად ახორციელებენ. ფაბრიკა სხვადასხვა სახის ჯინსის ნაწარმს უშვებს. მანამდე სანარმოში ქართველი პოლიციელებისთვის ფორმები იკერებოდა. კონსულტაციის და დასაქმების ცენტრის პერსონალთან შეხვედრისას ბრამ ბნი-ს გენერალურმა მენეჯერმა ბ-ნ არამ სანოსიანმა დიდი ინტერესი გამოხატა IOM-ის პროგრამის მიმართ და აღიარა, რომ კვალიფიციური მუშახელის პოვნა მისთვის სირთულეს წარმოადგენდა.



აღნიშნული შეხვედრის შემდეგ კერვის კურსები 10 ბენეფიციარმა გაიარა, რომლებიც შემდგომ ამავე სანარმოში დასაქმდნენ. კონსულტაციის და დასაქმების ცენტრი გეგმავს კერვისა და გადამზადების სხვა კურსების დამატებით ორგანიზებას ფაბრიკაში. აღსანიშნავია, რომ ეს კურსები თანამედროვე მანქანებზე კერვის სწავლის ერთდერთი საშუალებაა მთელ რეგიონში.

**„ბიზნეს გარემო და სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნა სამცხე-ჯავახეთში“**

ანგარიში შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ IOM საქართველოს ვებგვერდიდან:  
<http://jcp.ge/iom/pdf/engLMS.pdf>



## თბილისის რეგიონული კონფერენცია ტრეფიკინგის პრევენციის შესახებ

2010 წლის 2 და 3 დეკემბერს IOM-მა თბილისში რეგიონულ კონფერენციას უმასპინძლა — „სასკოლო განათლება აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის სამსახურში“. კონფერენციამ შეაჯამა ორწლიანი პროექტი, რომელიც დაფინანსდა შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ სამივე ქვეყანაში.

პროექტის პირველი ეტაპი მოიცავდა 14-დან 16 წლამდე სკოლის მოსწავლეთათვის სასწავლო მასალის შემუშავებას და საპილოტო გამოცდას, აღნიშნული მასალის შემდგომ სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოში ჩართვის საბოლოო მიზნით. საქართველოში სასწავლო მასალის პილოტირება ჩატარდა მე-9 და მე-10 კლასებში 16 სკოლაში ქვეყნის მასშტაბით, რომლებიც განათლების და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციით შეირჩა.

ჩატარდა ამ სკოლების სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა ტრენინგი, რომლის შემდეგ მოეწყო მათ მიერ ჩატარებული გაკვეთილების მონიტორინგი IOM-ის

და პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. სახელმძღვანელოები დაიბეჭდა და უფასოდ დარიგდა სკოლებში ქვეყნის მასშტაბით.

პროექტის მეორე ეტაპზე ტრენინგი ჩატარდა სკოლის მასწავლებლებს ახალი მასალის სრულყოფილად ათვისებასა და შემდგომ მოსწავლეთათვის გადაცემაში შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. მთლიანად, ტრენინგი ჩატარდა 3,600-ზე მეტ მასწავლებელს სამივე ქვეყანაში, რაც ტრენინგის წინააღმდეგ მიმართული საგანმანათლებლო მასალის სასკოლო პროგრამაში ჩართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი უნდა გახდეს.



რეგიონული კონფერენცია, რომელსაც IOM-მა თბილისში 2010 წლის 2 და 3 დეკემბერს უმასპინძლა

რეგიონულ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის განათლების სამინისტროთა, სამოქალაქო საზოგადოების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. მათ განიხილეს პროექტის სამხრეთ კავკასიაში განხორციელების, მისი შედეგების და პროექტის დასრულების შემდეგ ტრენინგების საკითხების ეროვნულ სასწავლო გეგმაში ჩართვის შესაძლებლობები. პროექტის საბოლოო მიზანია ახალგაზრდების ცოდნის გაღრმავება ტრენინგების საფრთხეების და უსაფრთხო მიგრაციის გზების შესახებ.

რეგიონული კონფერენციის ფარგლებში გამოიფინა გამოცემული მასალა (სასკოლო წიგნები, აფიშები, ბროშურები და აუდიო-ვიდეო მასალა: ფილმი და სატელევიზიო რგოლი) და გასული ორი წლის განმავლობაში პროექტის საქმიანობათა ამსახველი ფოტოები.




## მსოფლიო მიგრაციის მეშუთე ანგარიში

2010 წლის 29 ნოემბერს IOM-მა მსოფლიო მიგრაციის მეშუთე ანგარიში გამოაქვეყნა სახელწოდებით „მიგრაციის მომავალი: შესაძლებლობათა ზრდა ცვლილებისთვის“. ანგარიში წარმოადგენს თვითმეფასების ერთგვარ მექანიზმს სამომავლო პროცესების განვითარების კუთხით და ხაზს უსვამს შესაძლებლობათა ზრდისკენ მიმართული ძალისხმევების გაღრმავების საჭიროებას. ჩარევის მიზანი უნდა იყოს არა მზა სტრატეგიების და მოდელების განერა, არამედ მიგრაციის მართვის პოლიტიკის კონკრეტული ამოცანების დასახვა თითოეულ სფეროში, რათა სტიმული

მიეცეს მათ განხილვას ყველა დონეზე, სახელმწიფოთა და სხვა ჩართულ მხარეთა მიერ განხორციელებული წარმატებული პრაქტიკის მაგალითზე.

საქართველო აღნიშნულ ანგარიშში ალბანეთთან, მოლდოვასთან, ლიტვასთან და ტაჯიკეთთან ერთად მოხსენიებულია, როგორც აღმოსავლეთ ევროპის და შუა აზიის ქვეყნებიდან ერთ-ერთი ქვეყანა, რომელიც კვლავ რჩება ძირითადად „გამგზავნი“ ქვეყნების რიგში; თუმცა ნაკლებად, ვიდრე ეს 1990-ან წლებში იყო. ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებით გადაადგილებული პირები შეადგენენ.



IOM საქართველოს პროექტები ანგარიშში რამდენჯერმეა მოხსენიებული, ვინაიდან ისინი მიგრაციის მართვის მიზნით შესაძლებლობათა ზრდისკენ არის მიმართული. მიგრაციის და განვითარებისადმი მიძღვნილ თავში საქართველო ნახსენებია, როგორც ევროკომისიის და გაეროს მიგრაციის და განვითარების ერთობლივი ინიციატივის (JMDI) ერთ-ერთი სამიზნე ქვეყანა. ასევე, ანგარიშში აღნიშნულია IOM საქართველოს პროექტი - კონსულტაციის და დასაქმების ცენტრები, როგორც შესაძლებლობათა ზრდისკენ მიმართული ძალისხმევის მაგალითი.



## გაცნობიეროთ მიგრაციის სარგებელი და დავწეროთ შესაბამისი ხედვა, აცხადებთ IOM მიგრანტთა საერთაშორისო დღეს

„მთავრობებმა სრულად უნდა გააცნობიერონ მიგრაციის სარგებელი და ეს ხედვა ფართო საზოგადოებას გაუზიარონ“, განაცხადა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ, აღნიშნა რა მიგრანტთა საერთაშორისო დღე 2010 წლის 18 დეკემბერს. სულ უფრო ხშირად მიგრანტთა მიერ საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება რიგ მთავრობათა არაშორსმჭვრეტელი დამოკიდებულების გამო, რომლებიც ცდილობენ წარმოაჩინონ მიგრანტები, როგორც ეკონომიკის გაჯანსაღების შემაფერხებელი ფაქტორი და ზედმეტი ტვირთი სოციალური კეთილდღეობის შენების გზაზე.



IOM-ის უკანასკნელი მსოფლიო ანგარიშის თანახმად, ბოლო 20 წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული ტემპის შენარჩუნების შემთხვევაში მიგრანტთა რაოდენობამ მსოფლიო მასშტაბით 2050 წლისთვის შეიძლება 405 მილიონს მიაღწიოს. ამ მკვეთრი ზრდის ერთ-ერთი მიზეზი მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის კლება იქნება, რომელიც, 2050 წლისთვის, სავარაუდოდ, 25%-ს მიაღწევს.

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

**(დასაწყისი მე-3 გვერდზე)**

ბევრ ქვეყანაში შრომითი მიგრანტების საჭიროება შენარჩუნდება ყველა პროფესიულ დონეზე, როგორც ცოდნის გაზიარების და ინოვაციური იდეების მიღების მიზნით, ასევე იმ სამუშაო ადგილების დასაკავებლად, რომელთა შევსება ადგილობრივ მოსახლეობას არ შეუძლია ან არ სურს.

„მთავარი გამოწვევა ჰუმანური და მიუკერძოებელი გადაწყვეტილებების მოძიებაში მდგომარეობს, რათა არ დაირღვეს ბალანსი ადამიანების სხვა ქვეყნებში გადაადგილების სურვილსა და ქვეყნების სუვერენულ უფლებას შორის, მიიღონ გადაწყვეტილებები მოსახლეობის გადაადგილებასთან დაკავშირებით. თანამშრომლობა აუცილებელია არა მხოლოდ მიგრანტთა უფლებების დასაცავად, არამედ ასევე, მიგრანტების მიერ მასპინძელი ქვეყნების კულტურის და კანონების პატივისცემის უზრუნველსაყოფად”, განაცხადა IOM-ის გენერალურმა დირექტორმა უილიამ ლეისი სუინგმა.



მცირე მაღაზია



სოკოს მოყვანა

**იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია მცხეთა-მთიანეთის რეგიონში**

2010 წელს ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით IOM საქართველომ იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრირების ხელშეწყობისკენ მიმართული პროექტი განახორციელა. პროექტის მიზანი იყო მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ჩასახლებული დევნილი მოსახლეობისთვის დახმარების გაწევა მცირე ბიზნესის განვითარების, შემოსავლების გენერირების ხელშეწყობის და საარსებო საშუალებების გაუმჯობესების გზით.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა სამიზნე მოსახლეობის ეკონომიკური ინტეგრაციისკენ მიმართული საქმიანობები და დევნილთა მიერ საკუთარი საარსებო საშუალებების უზრუნველყოფის ხელშეწყობა, რათა ისინი აღარ იყვნენ დამოკიდებული გარე დახმარებაზე.

პროექტი რამდენიმე ეტაპად განხორციელდა: საჭიროებათა გამოვლენა და ინფორმაციის გავრცელება, ბიზნეს უნარჩვევათა ტრენინგი და საკონულტაციო შეხვედრები ბიზნეს იდეების დამუშავების მიზნით, ბიზნეს გეგმების მომზადება და შერჩევა, ბიზნეს ადმინისტრირების უნარჩვევათა და ტექნიკურ საკითხთა შემსწავლელი დამატებითი ტრენინგები, საჭირო მასალა-მოწყობილობების შესყიდვა და ბიზნეს გეგმების განხორციელება რეგულარული მონიტორინგის ქვეშ.



საცხობი



მეფუტკრეობა

პროექტმა მოიცვა იძულებით გადაადგილებულ პირთა ოთხი ჩასახლება: წინამღვრიანთკარის პროფესიული სწავლების ცენტრი, წინამღვრიანთკარის ტელევიზიის შენობა, საგურამოს პროფესიული სწავლების ცენტრი და საგურამოს ზრუნვა-ვაშლის ბაღი.

**ბენეფიციართა რაოდენობა და განხორციელებული საქმიანობები**

ჩეხეთის მთავრობის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის ფარგლებში IOM დაეხმარა მცირე ბიზნესის განვითარების/საარსებო საშუალებების გაუმჯობესების 52 ინიციატივას; მათგან 26 განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო სექტორში, 11 სანარმოო სექტორში, 10 - მომსახურების სექტორში და 5 სავაჭრო სექტორში. პროექტის ფარგლებში დახმარება გაენიჭა იძულებით გადაადგილებულ პირთა 88 ოჯახს, დევნილთა მიერ განხორციელებულ საქმიანობებში კი სულ 158 პირი ჩაერთო.

თუმცა პროექტის საწყის ეტაპზე გამოიკვეთა გარკვეული სირთულეები, როგორცაა სამენარჩეო უნარჩვევების ნაკლებობა და განცდილი დანაკარგით გამოწვეული სოციალური დამოკიდებულების და ეკონომიკური სიდუხჭირის შეგრძნება, IOM-ის აქტიურმა ურთიერთობამ და მჭიდრო თანამშრომლობამ სამიზნე მოსახლეობასთან ხელი შეუწყო ამ სირთულეების დაძლევის და პროექტის წარმატებით წარმართვას.

IOM-ის მიერ განხორციელებულმა სოციალურ-ეკონომიკური დახმარების პროექტმა ხელი შეუწყო არა მხოლოდ იძულებით გადაადგილებულ პირთა საარსებო საშუალებების გაუმჯობესებას, სოციალურ ინტეგრაციას და ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებას, არამედ, ასევე დაეხმარა მათ საკუთარი თავის რწმენისა და მოტივაციის გამყარებაში. საბოლოოდ, ინიციატივა წარმატებულად განხორციელდა და ბენეფიციარი ოჯახების რაოდენობამ მნიშვნელოვანწილად გადააჭარბა მოლოდინს.



IOM მადლობას უხდის დონორებს:

